იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 70

წელიწადი პირველი

= 1912 =

ოთხშაბათი, 19 დეკემბ.

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.

პაებზე დამყარებული ამხანაგობა

ს. მ. პირაპოზოვისა და ბ. გ. ოზანოვის

ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარ სახლებში.

მხოლოდ შვიდი დღით

ნიშნავს **იაფ ვაჭრობას** ნიშნავს

სეზონის დარჩენილ საქონლებისას

15, 17, 18, 19, 20, 21, 22.

აბრეშუმის განყოფილება:

აბრეშუმის მატერიები ტანსაცმელებისათვის და ბლუზებისათვის არშ. დაწყ.	6 შ.	და ზევით.
აბრეშუმის შოტლანდები ყოველნაირ ფერებისა ბლუზებისათვის და გასაწყობისთვის არშინი დაწყებული	2 აბაზი.	—
აბრეშუმის მატერიები ქვედა იუბკებისათვის (კანაუსები და ბურსოსები) ყოველ-ნაირი ფერების საუკეთესო ღირსებისა დაწყებული	11 შ.	—
აბრეშუმის დამასკე, როდოპპე და სარჟები ყოველ ნაირი ფერებისა სარჩულისთვის არშინი დაწყებული	6 შ.	—
აბრეშუმის ველვეტები უცხოეთისა და რუსეთის ქარხნებისაგან და აგრეთვე მანჩესტერები არშინი დაწყებული.	9 შ.	—
აბრეშუმის სასაბნე საპირეები ბუხარიის და სამარყანდის და აგრეთვე ატლასების ცალი დაწყებული	5 მან.	და ზევით.
შალ-აბრეშუმეული მატერიები სახიანი და სადა ორ-განი და ფერადი ყოველ-ნაირი არშინი დაწყებული	17 შ.	—

შალეულების განყოფილება:

შიფონები შალეულობის უცხოეთისა და რუსეთის საუკეთესო ქარხნებისაგან ორგანიანი ყოველ ნაირ ფერების დაწყებული	15 შ.	და ზევით.
შალეულობის მატერიები ინგლისურ კასტიუმებისათ. ორ განიანი არშ დაწყ.	2 აბაზი.	—
შალეულობის ფორმის მატერიები ყველა სასწავლებლ. ორ გani არშ. დაწყ.	6 შ.	—
შალეულების მუსლინები უცხოეთის და რუსეთის ქარხნებიდან არშინი დაწყ.	2 აბაზი.	—
შალების მუარი, ქვედა იუბკებისათვის არშინი დაწყებული	6 შ.	და ზევით.
შალების საპირე საბნისა ქიშმრის ცალი	3 მ. 2 აბაზი.	—
შალეულობის მატერია ორ-განიანი სახიანი და სადა არშინი	1 აბაზი.	—

მაუდეულობის განყოფილება:

პლიუშები უსახო აბრეშუმისა და შალეულობის საპალტოეთ არშინი დაწყ.	10 შ.	და ზევით.
პლიუშები სახიანი ქალებისა და ბავშებისათვის საპალტოეთ არშინი დაწყ.	19 შ.	—
პლიუშები ავეჯეულობისათვის და სასარჩულე არშინი დაწყ	18 შ.	—
ბობრიკები ყოველნაირ ფერებისა ორგანიანი 2 არშინიანი არშ. დაწყ.	1 მ. 2 აბაზი.	—
შალის კარაკულის მზგავსი დ ბუკლე შავი ყველა ფერადი მატ. არ. დაწყ.	2 მ.	—
დრაფები დიდებისა, ბავშებისა პალტოებისათვის ყოველნაირ ფერებისა არშინი დაწყებული	2 მ. 2 შ.	და ზევით.
დრაფები ქალების პალტოებისათვის ფერადი, თავისავე სარჩულით არშინი დაწყებული	1 მ. 18 შ.	—
დიოგენალები შალეულების საზამთრო დემი-სეზონისა და საზაფხულო ორ განიანი 2 არშინი სიგანე, არშინი	1 მ. 3 აბაზი.	—
კასტორები და შევიოტები მამაკაცებისათვის ორ განიანი შავი და ფერადი 2 არშინიანი, არშინი დაწყებული	1 მ. 2 აბაზი.	—

ტრიკოები საკასტიუმე და საშარვლე უცხოეთისა და რუსეთის ქარხნებისაგან ორგანიანი 2 არშინი სიგანე არშ. დაწყებული	1 მ. 1 აბაზი.	
ქალებისათვის ტრიკოს ფერადის სარჩულით ორ-განიანი მატერიები 2 არშინ სიგანე არშინი დაწყებული	1 მ. 1 აბაზი.	
ყოველნაირი შალეულობის მატერიები სამხედრო უწყებისთვის სანჟანი და მიხაკის ფერი 2 არშინიანი განით არშინი დაწყებული	1 მ. 14 შაური.	
ყოველნაირი ფორმების სუკნოების მატერიები ყველა უწყების სასწავლებლისათვის 2 არშინიანი არშინი დაწყებული	17 შ.	და ზევით.
თფილი პლუშების, ბაიკების, ბამბეულობის საბნები დიდებისა და ბავშებისათვის ცალი დაწყებული	1 მ. —	და ზევით.
პლედები და თავშლები უცხოეთის და რუსეთის ქარხნებისაგან ც. დაწყ.	2 მ. —	—
ხალიჩები და ნოხები ხავერდისაგან ცალი	2 მ. 2 შ.	და ზევით.
შალეულობის დრაპრები (აკოშკების და კარების საფარები) ნაქარგი და სახიანი ყოველნაირ ფერებით დაწყებული ცალი	5 მ. 4 აბაზი.	
პლუშების სტოლ-საფრები ნაქარგი და სახიანი ცალი დაწყებული	4 მ. —	და ზევით.
ფეხსავალი მატერიები ხაოიანი და ჩუქურთმიანი არშ. დაწყებული	— თვრამეტი კაპიკი.	
ბაიკები შალეულობის და ბამბეულობის თეთრი და ფერადი ორგანიანი და ცალგანიანი არშინი დაწყებული	— 1 აბაზი.	—
ვიგონის ქალების კასტიუმებისათვის ორგანიანი (შანტეკლერი) არშინი დაწყებული	— 2 აბაზი	დ ზევ.

ტილოულობის განყოფილება.

ტილოები: სტოლისთვის, ჩაებისთვის, საწოლისთვის, საცვლისა და სამზარეულოსთვის დაწყებული	— 2 შ.	და ზევით.
სტოლსაფრები, სასადილ., ყავისთვის და ჩაისთვის ბახრამით ცალი დაწ.	1 მ. 2 შ.	—
ხელსახოცები მაგიდისათვის, ყავასათვის, დესერტისათვის დ ჩაის. დუჟინი	თვრამეტი შაური.	
გრინსპონი; სლავიანების, ინგლისელების და ტიროლისა, ბამბეულობა, ლანკორდი და მიტკლები არშინი დაწყებული	— ცხრა კაპიკ	
პიკეინების და ნაქსოვი საბნები ვაჟებისა და ბავშებისათვის ცალი	1 მ. 2 შ.	
ტიკები მატრასებისთვის ტილეულობისა და ბამ. 2 გ. ცალ-გან არ. დაწყ.	თორმეტი კაპ.	

ბამბეულების განყოფილება.

სატინა სახიანი და სადა, ყოველ ნაირ ფერისა არშინი დაწყებული	ჩვიდმეტი კაპ.	და ზევ.
შემიზები ინგლისის, ტილოულობა ზოლიანი და კუბოკ. არშ. დაწ.	ჩვიდმეტი კაპ.	—
ოკსფორდები და ხოლსტიკები ყოველნაირი ფერებისა ბავშ. საფ. არ. დაწ.	ცამეტი კაპიკი	—
კრეტონები სახიანი და სადა ავეჯეულობ. ყოვ. ნაირი ფერ. არ. დაწ.	ოცდა სამი კაპ.	—
ბამბაზია ორ-გან. სახიანი (набивной) და სადა არ. დაწყ.	— 2 შ.	და ზევ.
ფულიარები და მუსლინები ჩითები ყოველნაირ ფერისა	— ცხრა კაპ.	—
ვიგონები ბამბეულობის ქალების კონფექციონის. არშ. დაწყებული	ოცდა სამი კაპ.	—
ფარდები ცალეულათ (шторы штучные) ტიულისა ცალი	3 მ 2 შ.	და ზევით.
საუცხოვო ფარდების ტიული (гординый) საარშინო არშ. დაწყ.	თუთხმეტი კაპ.	—
იუბკები დამზადებული ქვევით, აბრეშუმ., შალ. და ბამბაზ. ცალი	1 მ. 2 აბაზი	—
ბლუზები ნაკერი აბრეშუმეულობის, ტიულების, შალეულობის ბამბაზიების ცალი	1 მ. ხუთი კაპ.	—
ნახევრათ გამზადებული აბრეშუმეულობის და შალ. ბლუზები ცალი	— 4 აბაზი.	—

და აგრეთვე რამდენიმე ათასი ნაჭერი საშოვაო საჩუქრებისათვის.

მაღაზია ღია იქნება იაფობის დღეებში 9—1 საათამდი 3—7 საათამდი.

აბა, მოისწრეთ ჭაჭიროსი
15 ცალი 6 კ. „ანი" 25 ცალი 2 შაურათ
აქციონ. საზოგ. თამბაქ. ქარხ. „მირი".

აბა, მოისწრეთ ჭაჭიროსი
20 ცალი 1 შაურათ „გელაია რომაშკა" 20 ცალი 1 შაურათ
აქციონ. საზოგად. თამბ. ქარხ. „მირი".

მიხეილ ოქროპირის ძე უღენტი, მეუღლე მისი ნატალია ზურაბის ასული და შვილები მათი სერგო, ივანე, გრიგოლი, მარიამი და სალომე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 20 დეკემბერს ხუთშაბათს 11 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი პირველთა მათი ძვირფასის შვილის და უკანასკნელთა ძმის

დავით უღენტის

სულის მოსახსენებლათ.

თავადი ვარლამ ლევანის ძე გელოვანი და მეუღლე მისი ნინო გიორგის ასული ღრმა მწუხარებით გულდამწვარი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნაცნობთ, რომ 17 ამ დეკემბერს ქ. ბაქოში გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი ვაჟი

გიორგი (იგივე გია),

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. ბაქოში 19 ამა დეკემბერს

კვირას, 23 დეკემბერს ქუთ. ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება
ურიელ აკოსტა
ტრ. 5 მოქმედ. თარგმანი ბაქრაძისა.
ურიელ აკოსტას როლს შეასრულებს ვ. ალექსი—მესხიშვილი
ადგილების ფასი ჩვეულებრივია ✦✦ რეჟისორი მ. ქორელი.

ფართლეულობის მაღაზია
ქუთაისში **ზ. ს. ბუჩუკოვისა** ქუთაისში
გიმნაზიის ქუჩა, ს. რიჟინაშვილისა. ბულვარის პირად.
გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას რომ ამა დეკემბრის 8—24-ინ ვნიშნავთ
საშობაო დიდ იაფ-ფასიან
ვაჭრობას
პატივისცემით ზ. ს. ბუჩუკოვი

დღიური.

პორტამ დიდ სახელმწიფოებს აცნობა—ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირი თუ თავის მოთხოვნილებას შეამცირებს მაშინ მოვურიგდებითო.

— ხმაა—საზღვარზე მდგომი რუმინიისა და ბულგარეთის ჯარი ერთმანეთს შეეტაკაო.

— ჩინეთმა უარი უთხრა ინგლისს ტიბეტის შესახებ ხელშეკრულობა ხელახლავ განეხილათ.

— ოსმალეთის მოთხოვნილება ასეთია: ადრიანოპოლის ვილაეიტი ოსმალეთსვე დარჩეს. მაკედონია სამთავროთ გამოცხადდეს. სალონიკი მაკედონიის სატახტო ქალაქათ უნდა გახდეს და ალბანეთს ავტონომია მიენიჭოს.

— მშვიდობიანობის კრებაზე ავსტრიამ ალბანეთის ავტონომიის შესახებ პროექტი წარმოადგინა. რუსის ელჩი ამ პროექტის წინააღმდეგი ყოფილა.

— ადრიანოპოლის დათმობაზე პორტამ ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირს უარი უთხრა.

— სამხედრო საქმეების გასაუმჯობესებლათ რუმინია საგანგებო კანონპროექტებს იმუშავებს.

— ოსმალეთის ჯარში ამ უკანასკნელ ხანებში თავი იჩინა დეზერტირობამ. გარბიან ჯარისკაცები და აფიცრებიც.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ სარატოვის გუბერნატორს 400 ათასი მან. გაუგზავნა. ამ ფულით გუბერნატორმა სარატოვის გუბერნიაში მცხოვრებლებს თესლის შეძენაში უნდა დაეხმაროს.

— ახალი წლიდან კასო სახალხო მინისტრობას თავს ანებებსო.

— ცნობაა—ადრიანოპოლში შიმშილობააო.

— ბაიაზეთში ოსმალეთისა და ქურთების კრებას სომხების დარბევა გადაუწყვეტია.

— სტამბოლს ქურთის ხანები მოვიდნენ. იგინი ქურთისტანისათვის ავტონომიას თხოულობენ.

— სტამბოლის სომხებმა გადაწყვიტეს პეტერბურგსა, ლონდონსა და პარიზში დელეგატები გაგზავნონ და მოითხოვონ ოსმალეთისაგან ავტონომია.

— მინისტრთა საბჭოში წინადადება შეიტანეს ფოშტა-ტელეგრაფის მოხელეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ 975 ათასი მანეთი გადაიდვასო.

— კიევის ჭეშმარიტ რუსებმა პურიშკევიჩთან და ზამისლოვსკისთან კოკოვცოვზე საჩივრის ქაღალდი გაგზავნეს.

— ქამილ-ფაშამ ხონთქარს მოახსენა—მდგომარეობა უნუგეშოა და უმჯობესია ბულგარეთს დავუთმოთო.

— ამბობენ—ავსტრიამ მოითხოვა, სკუტარი, პრიზრენი, უსკიუბის ვილაეიტი და ვარდარის ველი ალბანეთს მიეკუთნოსო.

— 14 დეკემბერს პეტერბურგში 15 ათასი მუშა გაიფიცა.

— ოსმალეთის სომხებში რევოლუციონური მოძრაობა ძლიერდებაო.

აკაკი ჩხენკელის პირველი სიტყვა.

აკაკი ჩხენკელის ნაწერებში რომ ნიჭის მადლი არა ჩანს, ამას მისი მეგობრებიც ვერ დაფიცვენ. მაგრამ თუ შეუფერებელსა და უმზგავსს იკადრებდა რასმე, ვერ ვიფიქრებდი.

დეპუტატის პირველი გამოსვლა, დებიუტი, ყოვლად ზრდილობიანი და მართებული უნდა იყოს. მას თუ პირველ სიტყვაშიც კი არ შეუძლია თავი დაიჭიროს და ღარბაისლობა დაიცვას, ჩანს, გული ღვარძლით ქონია სავსე.

აკაკი ჩხენკელის სიტყვა საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს. ტრაბახი, მედიდურობა, თავისი პარტიის ღვაწლის გაბერვა და გაზვიადება, მოპირდაპირე პარტიის დამცირება, სხვისი პიროვნების შეურაცხყოფა, დაბეზღება,—აი რას წარმოადგენს ეს სიტყვა!

გლეხები სოციალდემოკრატებს ირჩევდენ, ჩვენ გვიჭერდენ მხარს, ვარლამ გელოვანი თავადებმა აირჩიესო, წარბშეუხრელათ გააცხადა მან სათათფიროს კათედრიდან.

და შინაური ნაგავი რომ სათათფიროში გაანიავა და მტვერის კორიანტელი დააყენა, ნუთუ მისი ამხანაგები სირცხვილით არ უნდა დაიწვან?!

მაგრამ რას ვამბობ?! მისი ამხანაგები რომ იმაზე უფრო კეთილშობილი არ არიან, მწარე გამოცდილებით ვიცი, და რასაკვირველია, რომ „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების".

ბ-ნო ჩხენკელო! გლეხებმა ჩვენ აგვირჩიესო, რომ ბძანეთ, აბა ერთი გაგვებედათ და გეთქვათ, რა ცილისწამებასა, ქორსა, სიცრუესა და ძალმომრეობას ხმარობდენ თქვენი ამხანაგები გლეხების მოსატყუებლათ და გადასაბირებლათ!

მაგრამ ესეც ხომ მტკნარი სიცრუეა. გლეხთა რწმუნებულების ერთი ნაწილი ფედერალისტებს ემხრობოდა. და პარტიის ღირსება განა საარჩევნო ხმების რაოდენობით გაიზომება?! მხოლოდ ჩვენს დასელებს მიაჩნიათ ეს საზომი ჭეშმარიტების შეურყეველ საბუთად!

იყო დრო, როდესაც ხალხის უმეტესობა კლერიკალებს ემხრობოდა. ერთ დროს მეომარ წოდებას უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა. დემოკრატიის გავითარება ხანგრძლივი ევოლიუციის კანონს ემორჩილება, ჭეშმარიტება ნელი ნაბიჯით იკვლევს გზას.

მერე კიდევ; ბ-ნო ჩხენკელო, თქვენს ამხანაგებს რომ პატიოსანი გზით დაერჩინათ გამარჯვება, მაშინ, ჰო, კიდევ ეპატიებოდათ ქადილი, მაგრამ რა დასაქადებელია სიცრუითა და ათასი სხვა შეუფერებელი საშვალებით ლელოს გატანა!

ჩხენკელის საქციელი მით უფრო შეუწყნარებელია, რომ გელოვანსა და გეგეჭკორს შორის ატეხილ დავას ქუთაისის გუბერნიის არჩევნების შესახებ არჩევს სამედიატორო სასამართლო, რომელსაც ჯერ თავისი მსჯავრი არ დაუდგენია. და ჩხენ[illegible] სასამართლოს განაჩენს, რომ ფიქრობდა, შემდეგ ველარავის დაავაჯერებო. მაგრამ, მგონია, თავისი საქციელით თავის თავს უფრო გაუტეხა სახელი, ვიდრე ვარლამ გელოვანს, და მემარცხენე ჯგუფების უმეტესობა ამგვარ ბავშურს, ვირეშმაკულ ფანდებს კი დააფასებდა ღირსეულათ?

დიახ! უნდა რცხვენოდეს ა. ჩხენკელს, რომ ე. გეგეჭკორს მხარში ამოუდგა და იმდენი პატივისცემა ვერ გამოიჩინა სათათფიროსადმი, რომ იმერული სოციალდემოკრატიული უმზგავსი ქორებით არ შეეწუხებია. უნდა რცხვენოდეს, რადგან მის საქციელში იხატება უაზრობა, უტაქტობა და პოლიტიკური უსინიდისობა.

რაც შეეხება მისი სიტყვის შინაარსს, როგორც წინა წერილში ვსთქვი, ერთი შემაკავშირებელი დედა აზრი არ მოეპოვება, ერთი ადგილი მეორეს ეწინააღმდეგება.

ორატორი ამბობს, მე თვითონ ჩაგრული ერის წარმომადგენელი ვარ, ჩემს თავზე გამომიცდია ეროვნული დევნის საშინელება, რომლის წინააღმდეგ პროტესტს ვაცხადებო, და სხ. კიცხავს რუსეთის ძველ ბიუროკრატიას, რომელმაც დაარღვია ქართველ მეფესა და რუსეთის მონარქს შორის დადებული ხელშეკრულობა. მაგრამ იმავე დროს აცხადებს: ჩვენ, სოციალდემოკრატებს, არა გვსურს კლასთა ბრძოლის ადგილი ეროვნულმა ბრძოლამ დაიჭიროს და ყოველთვის წინ გადავეღობებით ჩვენი ბურჟუაზიული რადიკალების ეროვნულ პოლიტიკას, რომელთაც ისე დაბრმავებიათ თვალი, რომ ვერაფერს ხედვენ და ასე გონიათ, ვითომ რუსეთის საერთო მოქალაქობრივ თავისუფლებასა და თითოეული ერის თავისუფლებას შორის არაფერი კავშირი არ იყოსო და სხ.

დასასრულ ჩხენკელი მოითხოვს: ყველა განსაკუთრებული კანონის გაუქმებას, რომელიც კი რომელიმე უფლებას ზღუდავს, თანასწორობას ერთა შორის და ეროვნული თვით-გამორკვევის უფლებას, დედაენის ხმარებას საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებაში და ისეთ დაწესებულებათა შემოღებას, რომელთა შემწეობით თითოეული ერის თავისუფალი გავითარება შეიძლებოდეს.

რა მქლე, მწირი, უშინაარსო და ბუნდოვანი ეროვნული პროგრამაა! ნამდვილი სოციალდემოკრატიულია. აქ თითქმის ყველაფერია, ჩამოთვლილი ხალხის თვალის ასახვევათ, მაგრამ თითქმის არცერთი წინადადება ხორცშესხმული, ჩამოყალიბებული, კონკრეტიული არ არის. აბა, ვის შეუძლია გაიგოს, რა არის ეროვნული თვითგამორკვევის უფლება, ეროვნული თანასწორობა.—და სხვა ამგვარი მცნებანი? დიახ! ეს ეროვნული საკითხის გადაფუჩუჩება არის.

ჩხენკელი რომ ბძანებს, ბურჟუა-ნაციონალისტების ეროვნულ პოლიტიკას გადაველობებით და ხელს შეუშლითო,—ეროვნული ავტონომია ეგულება. მაშასადამე, მისი ფიქრით ეროვნული ავტონომიის მოპოვება ხელს შეუშლის კლასთა შორის ბრძოლას, და მისი ამხანაგების პირველი მიზანი კი ვითომ მუშათა გათავისუფლებაა.

აი სწორეთ აქ, ამ ორი საკითხის გადაწყვეტაში, წყდება მათი ლოღიკის ძაფი. მუშათა საკითხს მჭიდრო კავშირი აქვს ეროვნულ საკითხთან და, ვიდრე თითოეული ერი არ გათავისუფლდება, ვერც მუშა ხალხი გათავისუფლდება.

ეროვნული თავისუფლება, ანუ ავტონომია,—მუშათა თავისუფლება არის.

ეროვნული ავტონომია მუშათათვის უფრო საჭირო და აუცილებელია, ვიდრე ვაჭარ-მრეწველთათვის.

ეროვნული ავტონომია ნიშნავს მუშის მოქალაქობრივსა და გონებრივ გავითარებას. დემოკრატიული წესწყობილება წარმოუდგენელია ისე, თუ თითოეულ ერს ავტონომია არ აქვს.

ეს უბრალო, საანბანო პოლიტიკური ჭეშმარიტება ვერ შეუგნიათ ჩხენკელსა და მის ამხანაგებსა და ქართველი ერის წარმომადგენლობას კი კისრულობენ!

ხელშეკრულობა, ქართველ მეფესა და რუსეთის მონარქს შორის დადებული, რუსეთის ბიუროკრატიასთან ერთად ჩვე[illegible] და ახლა ამ უარყოფას ა. ჩხენკელიც ადასტურებს. მაშ რა ნება აქვს ბიუროკრატიას დაემდუროს!

და ჩხენკელი რომ ჩივის, მეც გამომიცდია ჩემს თავზე ეროვნული დევნის სუსხი და მაშასადამე ეროვნული ჩაგვრის მტერი ვარო, აქაც ხომ ძლიერ სუსტათ არის გაბმული ლოღიკის ძაფი, რადგან პირველსა და მეორე დებულებას შორის მჭიდრო დამოკიდებულობა არ სუფევს. შეიძლება კაცი ძლიერ იჩაგრებოდეს, მაგრამ გაუვითარებლობის გამო თავისი მდგომარეობის მიზეზი შეგნებული არ ჰქონდეს. ჩხენკელი და მისი ამხანაგები რომ ეროვნულ დევნას განიცდიდენ, ამას მათი პოლიტიკური გაუვითარებლობა მოწმობს. და სწორეთ აქ მარხია მიზეზი, ისინი რომ თავისი გადაგვარების მიზეზს ვერ ხედვენ და ავტონომიას უარყოფენ.

მაშ პირველი სიტყვა აკაკი ჩხენკელისა წარმოადგენს: მოპირდაპირე ქართველი დეპუტატის დაბეზღებასა და ავტონომიის უარყოფას.

ვაშა, დეპუტატო! **ურო.**

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქართულ თეატრში შაბათს 22 დეკემბერს, პირველი სათათფიროს თავჯდომარის ამხანაგი ნ. გრედესკული ლექციას წაიკითხავს. თემა ლექციისა იქნება „ნაციონალური კითხვა დასავლეთ ევროპისა და რუსეთში".

✦ ბაქოში გარდაცვლილი დეპუტატის ვარ. გელოვანის ვაჟი გია, რომელსაც დღეს ასაფლავებენ იქვე.

✦ დღეს ქალაქის საბჭოს სხდომა ექნება. მოილაპარაკებენ ბალახვანის ქუჩაზე დაწყებითი შკოლის გახსნის თაობაზე; მსჯელობა ექნებათ აგრეთვე ქუთაისში სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნაზეც. საშკოლო კომისია ქალაქის სამართველოსა და დირექციის დამოკიდებულებაზე მოხსენებას წაიკითხავს. გასარჩევია სხვა წვრილმანი საქმეც.

✦ მოწაფე ქალის ვ. კ—ძის ასულის სასარგებლოთ ეპარქიულურ ქალთა სასწავლებლის კორპორაციიდან მივიღეთ თუმანი და ათი შაური.

✦ შავი-ქვის საბჭომ ალ. წერეთლის წინადადებით იკისრა სახჩერის ხიდის დასრულება.

✦ საკანონმდებლო კომისიის და სახელმწიფო საბჭოს შერთებულმა სხდომამ მიიღო კანონპროექტი კავკასიაში ბატონყმობის ნაშთების მოსპობის შესახებ.

✦ გუშინ ოლქის მზრუნველის თანაშემწე სლავინსკი დაბა ხონს გაემგზავრა.

✦ ივ. შარაშიძის სახელობაზე გვირგვინების ნაცვლათ 500 მანეთი შეკრებილა. ამ ფულით ღარიბ მოწაფეებს სწავლის ფასიდან გაათავისუფლებენ.

✦ როგორც ხონიდან გვატყობინებენ იქ გზები ძალიან წამხდარია. პატარა წვიმის დროსაც კი ქუჩებში გავლა შეუძლებელიაო.

✦ ოზურგეთის ქალაქის მოურავის თანამდებობაზე ნობათის ყოფილი რედაქტორის ა. ღულაძის კანდიდატურას ასახელებენ.

✦ ხონის ვაჟთა პროგიმნაზიაში ილიას დილას გამართვას აპირებენ.

მოწერილი ამბები.

ს. თხმელარი (ქვემო-იმერეთი).

ჩვენს სოფელში ამას წინათ დაინიშნა ღვდლათ მ. ნიკოლოზ გუნია, რომელმაც გაიგო თუ არა, რომ სოფელს შკოლა ახლო-მახლო არ ემხრობა და ყველა შკოლა სოფელზე დაშორებითაა ყრილობას გაუცხადა, თუ ჩვენს სოფელში გამახსნევიებთ შკოლას ჩემს დრამას შემოგწირავთო, და მე კი, რაც მთავრობიდან მეძლევა, იმით დავკმაყოფილდებიო ხალხმა დიდი მადლობა შესწირა. მისაბაძი მაგალითია მეტადრე ჯამაგირიანი სულიერი მამებისათვის.

დ. ხარაგოული.

15 დეკემბერს დანიშნული იყო წ. კ. გ. ს. განყოფილების წევრთა კრება. კრებაზე სულ ოთხი-ხუთი წევრი გამოცხადდა, რის გამო კრება არ შესდგა: გამგეობამ გადაწყვიტა—შემდეგიკრება აუცილებლათ შობა-ახალწელიწადს შუა რიცხვებში მოიწვიოს. საჭიროა მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ ისეთ კულტურულ საქმეს, როგორიც სამკითხველოს საქმეა. გულის აცრუება ასეთ საქმეში ყოვლად შეუწყნარებელია. იმედია, შემდეგ კრებაზე ბლომათ დაესწრებიან როგორც წევრები ისე არა წევრებიც, სასურველია—კრება 27 დეკემბერს დაინიშნოს.

დ. აბაშა (ოდიში).

1 დეკემბრიდან ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები იყიდება მომხმარებელი საზოგადოების „ანგარიშის" სავაჭროში. იქვე მიიღება ხელის მოწერა ყველა გამოცემაზე. ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე აკაკის თხზულებაზე (მეორე ტომი) და ანასტასია ხოშტარიას რომანზე „მოლიპულ გზაზე".

ფოთი.

ამ უკანასკნელი წვიმების დროს რიონი საშინლათ ადიდდა, ამას შედეგათ მოყვა ის, რომ ადიდებულმა მდინარემ. მის ნაპირებზე დასახლებულ მოსახლეთ მიწები სრულიად წაართვა და ამგვარათ ისინი მეტათ უნუგეშო მდგომარეობაში ჩააყენა. ქალაქის გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე გადაწყვიტა: დაზარალებულთ თითო ნაჭერი მიწა მიეცეს უფასოთ კანდელთან (მაიაკი) და ხუთ-ხუთი თუმანი სახლების გადასატანათ*).

ნახშირის ღელე, (ზემო იმერეთი).

ამ სოფელში 1881 წლიდან არსებობს შკოლა. შკოლას შენობა დაუძველდა და ახალის ასაგებათ ფულები შევკრიბეთ. ახლა ეს ფული სხვა დანიშნულებას უნდათ მოახმარონ.

სიმონეთის საზოგადოებაში ბ-მა ნემსაძემ აფთიაქი დააარსა, მანვე დააარსა სამკითხველოც. სოფლის შეგნებული პირები ნემსაძეს ასეთ კეთილ საქმეში თანაგრძნობას არ უწევენ.

ს. ხევი, (გურია).

სოფელში არსებობს ორკლასიანი სამრევლო შკოლა. შკოლაში მოწაფეთა რიცხვი დიდია. ცუდი მასწავლებლები გვყავს და მათი სიცუდე შკოლას უნუგეშო მდგომარეობაში აგდებს.

*) ამ ცნობას გუშინ ბოლო სამი ჰწკარი აკლდა. რედ.

გუდაუთა, (აფხაზეთი).

6 დეკემბერს მოხდა წ. კ. საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების კრება. კრებას ახალი გამგეობის წევრები [აირ]ჩია, წევრები უნდა მიელო და [წიგნის მაღაზიის] დაარსებაზე უნდა ემსჯელა. არც ზემოდ დასახელებულ საკითხს კრება არ შეხებია ისე დაიშალა. კრებაზე [ბ]რაპიძესა და ლვდ. ლაკრიბაიას ჩხუბი [მო]უვიდათ. ორივე პოლიციაში წაიყვანეს.

სენაკი, (ოდიში).

დიდი მადლობის ღირსია მომრიგებელი [მოსამართ]ე ბ-ნი ი. ქ. კალანდარიშვილი, [რ]ომლის მეცადინეობითაც მდინარე გურ[...]ების ხიდიდან სალხინომდი გზები შე[აკეთ]ეს. გადაწყვეტილია, ნაქალაქევის [გზ]აც შეაკეთონ.

ტ ფ ი ლ ი ს ი.

✦ ილიას ძეგლის დასრულებას კი[დ]ევ ერთი ახალი დაბრკოლება გადაეღობა. როგორც ვწერდით, კვარცხლბეკი [ს]რულიად დამთავრებულია და გარშემო [მოა]ჯირი აქვს შემოვლებული. [დარჩ]ენია მხოლოდ მარმარილოს ფიცარი, რომელიც კვარცხლბეკზე უნდა დაიდოს, ამ ფიცარზე ძეგლი უნდა დაიდგას. ფიცარი კვარცხლბეკზე დუღაბით უნდა დაეკრას, მაგრამ ეს ამ ჟამად შეუძლებელია, რადგანაც ამ ყინვაში დუღაბი ფიცარს ვერ დაიჭერს.

ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ შეიმუშავა ახალი პროექტი, რომლითაც კანტორის დაბალ მოხელეთა შტატი გადიდებულ უნდა იქმნას და ჯამაგირებიც უნდა მოემატოთ. ამ პროექტით, დაბალი მოხელენი სამ კატეგორიად იქნებიან დაყოფილნი. პირველ კატეგორიის მოხელენი თვეში 30 მან. მიიღებენ, მეორისა—40 მან. და მესამისა—50 მან. პროექტი დასამტკიცებლად უწმ. სინოდს წარედგინა.

✦ ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების სტიპენდიები. 10 ქრისტეშობისთვეს დასრულდა თხოვნების მიღება იმ პირთაგან, რომელთაც ზუბალაშვილისა და ღოლობერიძის სახელობის ოთხის სტიპენდიის მიღება სურთ. სტიპენდია ითხოვა 134 კაცმა. თხოვნებს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა 20 ქრისტეშობისთვეს შემდეგ განიხილავს.

✦ მოკლე ვადიან სესხზე, რომელიც მცირე კრედიტის ამხანაგობებს ეძლევათ სახელმწიფო ბანკიდან სარგებელმა 6% მდის აიწია, ნაცვლად 5%-სა.

✦ ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებაში გამგეობამ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა, სრულიად დაითხოვოს სამსახურიდან საგურამოს შკოლის მასწავლებელი ბ-ნი რამინიშვილი, რომელიც ავათ არის.

— წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, ცალ-ცალკე იაფ-ფასიან წიგნებად გამოსცეს: „ქაჯანა“ და „ალი“ ნიკო ლომაურისა და ეკ. გაბაშვილის საყმაწვილო მოთხრობები.

— 1912 წელი უკვე თავდება და ჯერ კიდევ არ გადაუხდიათ წ.-კ. საზოგადოების წევრთ ამ წლის საწევრო ფული. გამგეობა ამით მოაგონებს წევრთ თავის ვალს და სთხოვს, ფული დროზე შეიტანონ. (ს. გ.)

ფიქრის მორევში.

დაუძინიათ „თავადი“ გელოვანიო, უპასუხეს „აზნაური“ გეგეჭკორიო. თითქოს ეს წოდება ან ერთსა და ან მეორეს რამეს მატებდეს, ან აკლებდეს.

თავადი იყო ილია, თავადია აკაკი, ლორდი იყო ბაირონი, გრაფი იყო ლევ ტოლსტოი, თავადია პეტრე კროპოტკინი... რა ჩიჩია ხალხია, არა!?

რა გააფუჭეს ამათ თავის წოდებით! დიდებისა და სახელის მეტი რა შესძინეს ერს!?

აი, მე რომ სოციალდემოკრატები ვუწოდო ამ ჩვენში გამოხოხორიკებულებს—ეს კი იქნება დაცინვა და სამასხაროთ აგდება მათი და კიდეც უნდა იუკადრისონ, ვინაიდან ისინი დასელები არიან, და სახელის შეცვლა—თუ კაცს თავმოყვარეობა აქვს—საწყენია.

დაუძინიათ კიდევ—ჭეშმარიტი ქართველიო. და ამ ორ სიტყვას ბჭყალებს უკეთებენ—„ჭეშმარიტი ქართველი“

ჯერ ერთი, სიტყვა—ჭეშმარიტი—ქართული არაა, ეს სომხური უნდა იყოს, იმ სომხებისა, რომელნიც გაიძმობილეს, გულთან მიიკრეს ჩვენმა დასელებმა, და „ეჭეშმარიტათ“ ასეთი კავშირი სომხის პოიებს და დასელებსაც.

ჩვენ საკუთარი კარგი სიტყვა გვაქვს—ნამდვილი. და ეს ნამდვილი, უნდათ ბჭყალებში ჩასვან, უნდათ, ფჩხილებში, ნამდვილი ქართველი მიწოდონ, თუნდა „ნამდვილი ქართველი“—არ შემრცხვება...

რა ცუდი საქმე მჭირებია, თუ კი ნამდვილი ქართველი ვარ, თუნდ ბჭყალებშიც, და მათი ბლაგვი ბჭყალებიდან გზადაკარგული, გონებადაბნეული ხალხის გათავისუფლებას ვცდილობ და ჩემს ცთას წალმართი პირი უჩანს ამ ხალხის სასიკეთოდ.

და დასელები კი, გინდა ბჭყალებში ჩაგისვამს, გინდა ფჩხილებში, სოციალდემოკრატები არ არიან, ვერ გახდებიან, თუ... ამ თუ-ს, ვინ უწყის, რამდენი თუ მოყვება. დ.

მამა ერმალო კანდელაკის წერილის გამო.

მამა ერმალო კანდელაკის მოწოდება, ქართული საეკლესიო გალობის გამოცემის შესახებ,—საგულისხმოა. მის მოწოდებას ამ საქმის შესახებ,—მეორეთ ვკითხულობთ გაზეთის ფურცელზე. ეტყობა, მამა დეკანოზს, ძლიერი სურვილი აქვს ამ კეთილი საქმის სისრულეში მოყვანისა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ დასაბეჭდი ნოტების გარემოება მას არ სცოდნია და საჭირო კია იცოდეს, მანაც და სხვამაც. მე არ ვიცი, რა უნდა დაიბეჭდოს?... განსვენებულ ქორიძეს იმერეთის სამღვდელოებამ რიცხვით ოთხასი გალობა დააწერია და თვითოეული გალობის დაწერაში სამღვდელოებამ თერთმეტი მანეთი გადაიხადა საშრომი; ე. ი. სულ ოთხი ათას ოთხასი მანეთი. დაწერილი ოთხასი ხმა ქორიძისგან სამღვდელოებამ ჩაიბარა და რადგან დაბეჭდვა ვერ შეძლო, ხელნაწერათ ინახებოდა საეპარქიო კანცელარიაში. მესტამბე მაქსიმე შარაძემ, განსვენებულ გაბრიელ ეპისკოპოსს სთხოვა, რომ ის ხელნაწერი ნოტები გარდაეცა მისთვის და კისრულობდა ყველას დაბეჭდვას; გარდასცეს კიდევაც და იმათგან დაბეჭდა მხოლოდ: წირვის წესები, აღდგომის და მიცვალებულთა წესის აგების გალობები, რომელიც რიცხვით 40 თუ 50 არ აღემატება. კიდევ დაუბეჭდავი 350 ხმას მაინც შეადგენს. ჩვენ არ ვიცით ეს დაუბეჭდავი მასალა დაკარგულია თუ კიდევ არის სადმე ვისიმე უჯრაში! როგორც გამიგონია, ეს ნოტები ქონდა მაქსიმე შარაძეს და განსვენებულს არისტო ქუთათელაძეს. დღეს ესენი ორივე მიცვალებულია და ნოტები ვის უნდა მოვთხოვოთ, ვინ უწყის! ამ საერო საქმის კეთილათ დაბოლავებისათვის მოწოდებაზე მამა კანდელაკს მხოლოდ ერთი ღვდელი მიემხრო: მ. სილიბისტრო ხუნდაძე და ისიც ერთ წელს შემდეგ; დანარჩენი ერი და ღვდელიც სდუმს. შეკრებილი ფულით მარტო ორი გალობაც არ დაიბეჭდება, მარა ბევრიც რო შეიკრიბოს, ვთქვათ, რა უნდა დავბეჭდოთ და სად არის ეს დასაბეჭდი ხელნაწერი?.. მოვითხოვთ ამის პასუხს მისგან, ვინც რაიმე იცის ამ დაწერილი გალობებისა.

დეკანოზი რაჟდენ ხუნდაძე.

კიდევ სამი გამგის წერილის გამო.

„იმერეთის“ მე 67 ნუმერში მოთავსებულია სამი გამგის წერილი, რომელშიც თვით აღიარეს მათ მიერ ყოვლად უმგვანო საქციელის ჩადენა და თან დასძინეს, თუ როგორი სადი პედაგოგიური პრინციპებით უნდა იყოს ჩვენს გადამავალ დროში აღჭურვილი მასწავლებელი. მათ წინ დგას პრინციპიალური საკითხი გადასაწყვეტათ: შემოღებულ იქნეს თუ არა ადგილობრივ შკოლების პირველ განყოფილებაში რუსული ენის სწავლება პირველ ენკენისთვიდანვე? საღი პედაგოგიური დებულება: უცხო ენის შესწავლას უნდა დაედვას საფუძვლათ, პირველ ყოვლისა, სამშობლო ენის რიგიანათ შესწავლა, ეს აღიარებულია ყველა გამოჩენილ პედაგოგების მიერ. ამ პრინციპს რამდენათმე იზიარებს 1881 წ. სამოსწავლო, პლანიც, რომლის შემწეობით პირველ ორ წელიწადს საშვალება ეძლევათ ჩვენ შკოლებში ყველა საგნების სამშობლო ენაზე სწავლებისა; ეს თუ ასეა, მასწავლებლის ზრუნვას შეადგენს არა თუ დაიცვას ეს პლანი, არამედ უფრო გააღრმავოს და გააფართოვოს სამშობლო ენის სწავლება, რომ გაგრძელდეს ამ ენაზე სწავლება საგნებისა ოთხ წელიწადს მაინც.

და რას ვხედავთ? ჩვენი შკოლების გამგენი რაღაც „დროის მოსაგებათ,“ „ფორმალურის შესრულებით“ პრინციპს სთელენ, იმ 1881 წლის სამოსწავლო პლანსაც მთავრობას უთმობენ, ხელს აწერენ, რომ შკოლებში შემოღებულ იქნას რუსული ენა პირველი წლიდანვე ბავშის შკოლაში შესვლისა. თქვენ თუ სადი პედაგოგიური მოსაზრების მატარებელი ხართ, არც უნდა დაგეთმოთ კანონით მინიჭებული 81 წ. გეგმა, თუნდაც ამას მოყოლოდა სხვერპლი, ე. ი. თქვენი სამსახურიდან დათხოვნა. თქვენ ბძანებთ: სხვერპლს არ ექნებოდა მნიშვნელობაო, ჩვენ კი ვფიქრობთ, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა და დიდს რეალურს ნაყოფსაც გამოიღებდა, რადგან სამოსწავლო მთავრობას არ ექნება საშუალება მოხსენება წარუდგინოს საკანონმდებლო დაწესებულებებს, რომ ვითომ თვით ადგილობრივი მკვიდრნი მომხრენი არიან პირველ-დაწყებით შკოლებში პირველ დღიდანვე რუსულის შემოღებისა. აი, რით ასაბუთებენ თავის განძრახვას მოხელეები.

თქვენ ბ.ბ. გამგეებო დაცვა კანონიერებისა მაშინაც კი ვერ შესძელით, როდე, საც ქალაქის გამგეობამ მხარი დაგიჭირათ მზრუნველთან დეპეშის გაგზავნით, რომ უკანასკნელს შეეჩერებია დირექტორ-ინსპექტორის მოქმედება. ცალ-ცალკე შეგეკითხენ კიდეც. (მოიგონეთ ექვს ამ თვის კრება ქ. გამგეობაში) თუ რა აზრის იყავით ინსპექტორის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესახებ? სამივემ გააცხადეთ, რომ დაემორჩილებით კრების დადგენილებას; ამ განცხადებას შემდეგ გვერდი აუხვიეთ ქ. გამგეობას, სამოსწავლო კომისიასა და მონურათ დაუკმაყოფილეთ ინსპექტორს მოთხოვნილება. სად ჩანს აქ თქვენი ცოდნა მასწავლებლის მოვალეობის მნიშვნელობისა, როგორც ამას თქვენ ბრძანებთ წერილში; მაგრამ არაფერი გვეთქმის იმ გამგეზე, რომელსაც დირექტორი ურჩევნია ხალხს. აბა, ყური დაუგდეთ: „მე მირჩევნია ქალაქის გამგეობამ დამითხოვოს, ვინემ დირექტორმა“-ო. არ არის გულწრფელი აღსარება, ვითომც თქვენ განზრახვა არ გქონიათ დღეიდანვე გაგეხორციელებიათ ახალი ნუსხა გაკვეთილებ[ისა]. [თ]ქვენთაგანი მეორე დღესვე შეუდგა წერას, თუ როგორი ნუსხა გაკვეთილებისა ჩამოეკიდებია შკოლის კედლებზე; როგორ ფიქრობთ, ეს არ არის განხორციელება? მეორე მიზეზს ასახელებთ: ვერ განვახორციელებდით, რადგან ყველა მასწავლებელი წინააღმდეგი იყო და არაგზით არ შეასრულებდენო. თუ დარწმუნებული იყავით ამაში, რათ ჩააგდეთ მასწავლებლები საფრთხეში? რათ არ აცნობეთ მათ თქვენი გადაწყვეტილება? ერთმა თქვენთაგანმა „ოტნოშენიე“ გაუგზავნა ინსპექტორს ფარულათ, რომ მის ამხანაგებს არ გაეგოთ გაიძვერული მოქმედება. რას ნიშნავს ყველა ეს? ამას შემდეგ კიდევ აქვთ სითამამე საზოგადოებას აუწყონ—ჩვენ განზრახვა არ გვქონია დღეიდანვე გაგვეხორციელებია ინსპექტორის მოთხოვნილებაო—ნეტავი ვის ატყუებთ?

აგერ ერთ კვირაზე მეტია ამ ინციდენტს შემდეგ და მასწავლებლობა აღნიშნულ სასწავლებლებისა (გარდა III-სა) სდუმს. მათი დუმილი ვერ გაგვიგია: ნუ თუ ისინიც „ფორმალურის შესრულებით“ დაემორჩილენ თავიანთ გამგეებს? საინტერესოა ვიცოდეთ!! ნაცნობი.

ომი ბალკანეთზე.

ბრძოლა საბერძნეთთან.

მიიღეს დაწვრილებითი ცნობები ზღვაზე უკანასკნელი ბრძოლის შესახებ. საბერძნეთის ჯავშნიანი გემები „ავეროფი“ ძლიერ დააზიანეს. ოსმალებსაც საუკეთესო ნაღმიანი გემი დაუზიანეს.

საბერძნეთის მთავრობამ ახალი დრედნოუტის ასაშენებლათ ფული გადადვა.

ავტონომიური ალბანეთის საზღვრები ჯერ კიდევ არ გაურკვევიათ.

დიდი სახელმწიფოების ჩარევა.

იმ ცნობამ, რომ სტამბოლში მოკავშირეთა მოთხოვნილებანი უარყვესო, პარიზის პოლიტიკურ წრეებში ძველი რწმენა ვერ გაფანტა და კიდევ იმედობენ—მალე შვიდობიანობა დამყარდებაო.

დიდი სახელმწიფოები დარწმუნებული არიან, რომ არცერთი მხარე არ უარყოფს მათ წინადადებას, და თუ განხეთქილება მოხდა საფრანგეთი ახალი საშვიდობო პირობების შემუშავებას გაავის ტრიბუნალს მიანდობსო.

დიდი სახელმწიფოების ენერგიულ მოთხოვნილებათა ზეგავლენით, პორტამ თავის დელეგატებს ლონდონის კონფერენციაზე ახალი ინსტრუქციები დაუგზავნა.

პორტამ დიდ სახელმწიფოებს თხოვნით მიმართა: მოკავშირეებზე გავლენა იქონიეთ, რომ იმათ თავისი მოთხოვნილება შეკვეცონ. ოსმალეთის დიპლომატები ამბობენ: ჯარის სურვილია—ან დამყარდეს მშვიდობა ხელსაყრელი პირობებით, ან და ისევ ომიო.

ხმაა—საიკოვი ფარულათ მისულიყოს სტამბოლს დიდ ვეზირთან მოსალაპარაკებლათ და ამ მოლაპარაკებაში თითქოს სრული თანახმობა მომხდარიყოს ბულგარეთ-ოსმალეთის საზღვრების შესახებ.

ავსტრია მზადებაშია.

ავსტრიის ჯარის კაცებისთვის სერბიის საზღვარზე ერთი კაციც არ მოუკლია, პირიქით მოელიან სათადარიგო ჯარის კაცების გაწვევას.

რუმინელ ბულგართა შეტაკება.

ბუქარესტში ხმები გავრცელდა რუმინიელ ბულგარელ მესაზღვრეებს შორის დობრუჯში შეტაკება მოხდაო.

შეტაკების დროს 14 რუმინიელი მოუკლავთო.

საზოგადო საქმე და კერძო ინტერესი.

(პასუხათ გ. მასხულიას).

გაზ. „მერცხლის“ მე-4 №-ში დასტამბულია ბ. ვასილ მასხულიას წერილი. იგი ეხება ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. ქუთაისის განყოფილებას, რომლის გამგეობამ ამა წლის 25 ნოემბერს ქ. ქუთაისში მოიწვია წევრთა არაჩვეულებრივი კრება და ხმის უმეტესობით გადაწყვიტა სტამბის დაარსება. არ შემიძლია ამ წერილს გვერდი ავუარო და პასუხი არ გავსცე, რადგან იგი ეხება არა ერთსა და ორ კერძო პირს. ბ. მასხულიას წერილის შინაარსით წ.-კ. საზოგადოებამ ქუთაისში რომ ახალი სტამბა გახსნას, წააგებს და საზოგადოებისაგან შეგროვილი ფულიც დაიკარგება. შემცთარი აზრია. ბ. მასხულიაც ამბობს და ყველასათვისაც ცხადია, რომ წ.-კ. საზ. მიზანია ხალხში წერა-კითხვის გავრცელება და ამ მიზნის განსახორციელებლათ ერთ უმთავრესსა და აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სტამბა. წ.-კითხვის საზოგადოებას რომ თავისი საკუთარი სტამბა ქონდეს, ის ასჯერ და ათასჯერაც მეტი გამავრცელებელი იქნება წერა-კითხვისა, ვიდრე ახლა არის. საზოგადოებას დღეს უბრალო ანგარიშის ფურცელი თუ წიგნაკი ორჯერ და სამჯერაც მეტი უჯდება იმაზე, ვიდრე ეს თავისს საკუთარ სტამბაში დაუჯდება, ახლა თვითონ განსაჯეთ, როგორ უნდა შესძლოს საზოგადოებამ მწიგნობრების გავრცელება ხალხში, თუ მას საშვალება არ ექნება—წიგნების ბეჭდვა და გამოცემა იაფათ დაუჯდეს. ვინ იყიდის საზოგადოების მიერ გამოცემულ წიგნს, თუ მას ფასათ აბაზის მაგიერ ორი აბაზი აწერია და თუ ეს ასე არ მოხთება, მაშინ ხომ სულ ერთია, მაინც საზოგადოება ზარალობს, რადგან მას აბაზის საღირალი ორ აბაზათ უჯდება და თვითონ კი ნაკლებათ უნდა გაყიდოს. ბ. ვ. მასხულია ამბობს: „სტამბის დაარსება ვინ არ იცის რომ კარგია, მაგრამ ჩვენი საქმე მაინც არ არის, რადგან ჩვენ ამისათვის არც ფული გვაქვს, არც დრო და არც საკომერციო გამოცდილება და არც ყაირათობა. ჩვენ საზოგადოებას რაღაც ორი ათასი მანეთი აქვს, გარდა იმ სამი ათასი მანეთისა, რომელიც განსვენებულმა ივანე გველესიანმა უანდერძა საზოგადოებას“. მაშ ასე:—არა გვაქვს ფული, კომერციული გამოცდილება და ყაირათობაო. ბ. მასხულიას რჩევით, უნდა შევსწყვიტოთ ყოველივე წარმოება, რადგან მისი აზრით, არარაობას წარმოვადგენთ დედამიწის ზურგზე. რამ გაუქრო ბ. მასხულიასა და მის თანამოაზრეებს ამრიგათ საცხოვრებო იმედები და რატომ ესმის ასე უკუღმა საზოგადო ინტერესის მნიშვნელობა? მჯერა, რომ ქართველი საზოგადოება ვერ არის თავისივე განმანათლებელი საქმისადმი ინტერესებით გამსჭვალული, მაგრამ არც ისე ლაჩარი და გამოუცდელია საქმისა, როგორც ეს ბ. მასხულიას მოსჩვენებია. (მაგრამ აქ არ შემიძლია ეჭვი არ დამებადოს რომ ბ. მასხულიას ვინმე კერძო ადამიანის სული არ ქონდეს ჩაბერილი, რადგან მან, აშკარათ შემიძლია ვთქვა, არ იცის არც სტამბის დაარსების მნიშვნელობა, არც წიგნებისა და საზოგადოთ წერა-კითხვის საზოგადოების უმთავრესი დანიშნულება და თუ იცის, რაღაც სხვა მიზეზთა თუ კერძო პირისაგან ჩაგონების გამო გაბნეულა სხვადასხვა მოსაზრებაში).

ნუთუ მართლა ისე [დაკნ]ინდა ქართველი საზოგადოება, რომ არ შეეძლოს მონახვა კაცისა, რომელსაც ქონდეს ამ საქმეში საკმაო გამოცდილება, ყაირათიცა და ენერგიაც! ბ. მასხულიას აზრით, წ.-კ. საზოგადოებამ ის ორიოდე გროში, რომელიც მას წევრებისგან აქვს მოგროვილი რაღაც ორი-სამი წიგნის დაბეჭდვისთვის რომელიმე კერძო მესტამბეს ჩაუყაროს ხელში და თვითონ კი ისევ ხელცარიელი დარჩეს. აი, როგორი მცოდნე და მრჩეველია ბ. მასხულია საზოგადო საქმისა.

წ.-კ. საზოგადოებისათვის, რომლის მიზანია ხალხში წერა-კითხვისა და ცოდნის გავრცელება, ერთ უპირველეს საგანს და დედა ბოძს საბოლოოთ გაძლიერებისათვის საკუთარი სტამბის შეძენა შეადგენს. ამიტომ არც ერთი კერძო მესტამბე, რომელსაც ცოტათი მაინც შერჩენია ამ საზოგადოებისადმი ინტერესი, არ უნდა გაიტაცოს იმ პირადმა ალმატება-შეძენამ და გროშ-კაპიკების ჩაჯიბვამ, რასაც ის ამ საზოგადოების მიერ სტამბის შეუძენლობით გამოელის. პირიქით პირველი ხელის შემწყობი ისინი უნდა იყვენ, რადგან, თუ საზოგადოება სტამბას შეიძენს, ის საზოგადოებისვე საკუთრებათ დარჩება, და თუ არ ვცდები, იგინიც ამ საზოგადოებას უნდა ეკუთვნოდენ. ამას გარდა, სტამბა არ შეადგენს არავითარ სასეზონო საქმეს, რომ დრო წაუვიდეს და ეზარალოს საზოგადოებას. ჟურნალ-გაზეთებისა, მწიგნობრობისა და საზოგადოთ სწავლა-განათლების წინსვლა დღითი-დღე იზდება და, რასაკვირველია, აქ კარგათ დაყენებული და მით უმეტეს საზოგადო სტამბის საქმე ყოველთვის წინ წავა და არავითარ ზარალს საზოგადოებას არ მოუტანს. მახლობელი.

ქალთა კრება.

შარშან პრივატ-დოცენტმა კოგანმა ქუთაისში წაკითხულ ერთ ლექციაში დაახლოებით ის აზრი გამოთქვა, რომ რუსის ქალები ევროპიულ ქალებზე უფრო მოწინავეთ უნდა ჩაითვალონო და ამ შეხედულების ერთ საბუთად რუსის ქალების უმაღლეს სწავლისადმი დიდი მისწრაფება დაასახელა: არ ვიცი, ამ კოგანის სიტყვების ზეგავლენით, თუ საკუთარი დაკვირვებისა და ცოდნის მეოხებით, ეს ერთი ხანია ჩვენშიც ხშირათ გაიგონებთ ხოლმე ამ პრობლემატიურ აზრსა და მის „აპრიორულათ“ მტკიცებას. ეს საკითხი ქალთა წრეშიც აღიძრა, რომელსაც ზოგიერთებმა ეჭვის თვალით შეხედეს. ამაზე დასაბუთებული პასუხის გაცემა, რითა სიდავის ასულს დაევალა, რომელმაც წასულ პარასკევს აღებულ თემის გარეშე ერთი რეფერატი საფრანგეთის გამოჩენილ რომანისტ-ქალს ჟორჟ-ზანდს უძღვნა, მეორე კი—დასახულ საკითხს.

რეფერენტის განცხადებით ეს საკითხი იმდენათ ძნელი და რთულია, იმდენათ ფართო, მთელი მსოფლიოს ლიტერატურის ცოდნასა და დიდძალი მასალების გაცნობას მოითხოვს, რომ მისი სავსებით გაშუქება და ნათლათ დამტკიცება მის ძალას და შეძლებას აღემატება. ხოლო რეფერენტმა სიტყვა-კაზმული ლიტერატურის შემწეობით და იქ გამოყვანილი ტიპების მიხედვით დასმულ საკითხს რამდენიმე დადებითი პასუხი გასცა. ლიტერატურაში პუშკინის ტატიანაზე და ტურგენევის ქალთა ტიპების გალერეიაზე შეჩერდა და მათი განხილვით რუს ქალების საზოგადოთ მოწინაობა აღიარა.

მართალია მხატვრული ლიტერატურა ცხოვრების უტყუარ სარკეთ ითვლება, მაგრამ მარტოოდენ განსაზღვრული დროის ლიტერატურის მიხედვით ასეთი რთული და ზოგადი საკითხის გადაწყვეტა სახიფათო და შეუძლებელიცაა. ტურგენევის მიერ დახატული ქალთა ტიპები რუსეთის საზოგადოების თანდათანობითი გამოფხიზლების ეპოქიდან არის აღებული. საზოგადოების, ცხოვრებისა და აზროვნების განახლებისა და გადაქმნის პროცესში ქალებიც, თქმა არ უნდა, მამაკაცებთან ერთად ასე თუ ისე მონაწილეობას მიიღებდენ. ხალხის გამოფხიზლების ტალღა იმათაც მიწვდებოდა და საერთო ფერხულში ჩააბამდა. ხოლო ტურგენევის გმირები ენტუზიასტები არიან, რომელნიც, უმთავრესათ, შავბნელი

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო ქუთაისში.

ალექსანდრეს ქუჩა, კოკოჩაშვილის სახლი.

მაქვს პატივი ვაუწყო ქუთაისისა და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთაც, რომ ვინაიდან დიდძალი საქონელი მომიგროვდა, ამა წლის 20 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდი გნიშნავ არაჩვეულებრივ

იაფ ვაჭრობას.

ყოველ საქონელზე, რაც ჩემს სავაჭროში აწყვია **ფასი შეუვაჭრებლათ ვაჭრობა ნაღდზე.**

იმედია, საზოგადოება უყურადღებოთ არ დასტოვებს ჩემს სავაჭროს და, რო მობრძანდება, დარწმუნდება—რა იაფობაცაა იქ.

შ. ს. ფილიპოვიჩა

ფართლეულობის ვაჭრობა **„რომანოზ ქაიხოსროს-ძის მახარაძისა“** ვორონცოვის ქუჩაზე

პირველი ქრისტეშობისთვიდან მოკლე ვადით ნიშნავს

დიდ იაფ ვაჭრობას

ყოველგვარ საზამთრო ფართლეულისას, რო-გორც შალეულობისა, აგრეთვე ბამბეულისას, რომლის ფასებში პატივცემული მუშტრები დიდს განსხვავებას დაინახავენ. პატივისცემით **რომანოზ ქ. მახარაძე.**

დროის გამო, ლამაზსა და ჰუმანურ სიტყვების ფარგალს ვერ გასცილებიან. მათ მიერ საგრძნობი სარგებლობის მოტანა ზოგიერთებს არც კი სწამს. მაგალითად, ელენას იდეალურ პიროვნებას რუსეთის გამოჩენილი კრიტიკოსი პისარევი, დობროლიუბოვის შეხედულების წინააღმდეგ, სკეპტიკურათ უყურებს.

ჩვენის ფიქრით რუსთა „კურსისტკების“ მრავალრიცხოვანებაც აქაური ქალების მოწინაობის ვერაფერი საბუთია, რადგან განათლება თვინიერ რეალური ნაყოფისა და პრაკტიკული შედეგისა, „მკვდარ არს“. პრაკტიკულ ცხოვრებაში, მეცნიერებაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში და საზოგადოთ კულტურულ მუშაობაში კი რუსის ქალებს, ვეჭვობ, ევროპიელ ქალებზე მეტი უნარი ქონდეთ და ან ოდესმე გამოეჩინოთ.

ამ კრებაზე ბევრ ჩვენი ცხოვრების მწვავე და საყურადღებო საკითხებს შეეხენ, მაგრამ საჭირო იყო თითოეულ მათგანზე უფრო ყურადღებით შეჩერებულიყვენ და გულდასმით გაერკვიათ. აქ, სხვათა შორის საზოგადოთ ქართველი ერის და ჩვენებური ქალების სიზარმაცეზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ასეთი შეხედულება მთელ ერზე შემცთარია. „ახ, ნეტავი როგორც შრომისა და გარჯის სურვილი არ აკლია მას, ისე ცოდნა-განათლება არ აკლდეს და სხვა მრავალი მძლავრი გარემოებანი არ უცარავდეს ხელსა.. და მაშინ დაინახავდით, როგორ ჯარასავით დაატრიალებდა იგი თავის ბედისა და იღბლის ბორბალსა“!— ვიტყვით ჩვენ ბ-ნ არზოელთან ერთად.

ქართველი ქალის შრომის მოყვარეობას, მისი სულიერ ძალას და მხნეობას მშვენიერათ ამტკიცებს თუგინდ იგივე მხატვრული მწერლობა—ილიას ოთარაანთ ქვრივი და გიორგი წერეთლის მამიდა ასმათი. მოწინავე აზრებით და ხალხის სამსახურით გატაცება ჩვენებური ქალებისთვისაც არ არის უცხო, რაც ნინოშვილმა—„ტარიელ მკლავაძეებში“. ეკ. გაბაშვილის მეუღლემ—„გამარჯვებულ ნიკოში“ და ია ეკალაძემ თავის ნაწერებში ცხადათ დაგვისურათეს. ჩვენისთანა პატარა ერს, რომელიც, პროფ. ჯავალიშვილის სიტყვებით, „ნაციონალურ გავითარების საქმეში, ჯერ მხოლოდ პირველ ასოებს ვეცნობით“, მოგვეპოება ქალები ლიტერატურასა და საზოგადო ასპარეზზე მომუშავე, მემუსიკე, მაღალი ნიჭით დაჯილდოებული მსახიობნი და მეცნიერიც კი. ამისთვის ვერ ვიზიარებ აქ გამოთქმულ პესიმისტურ ხმებს და ღრმათა მწამს ჩვენი ქალების გამოფხიზლება და მათი მეოხებით ჩვენი ქვეყნის დაწინაურება, რადგან, ქ-ნ ეკ. გაბაშვილისა არ იყოს, დედაკაცს ერის გამობრუნებაში ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს“. ამის იმედსა და საბუთს, სხვათა შორის, ამ ბოლო დროს შემოღებული ქალთა წრეებიც იძლევა.

ფარი.

თეატრი და ხელოვნება

შაბათს 15 და კვირას 16 დეკემბერს ქუთაისის დრამატიულმა დასმა ზედიზედ წარმოადგინა შიუკაშვილის 4 მოქმედებიანი დრამა „ციცინათელა“.

შიუკაშვილის ყველა პიესა საგრძნობელი დრამატიზმით არის სავსე და მაყურებელზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. „ციცინათელამაც“ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. ბაბოსა და ლევანის უკანონო შვილი, 16 წლის „ციცინათელა“, რომელმაც არა იცის რა მისი დედისა და ლევანის კავშირის შესახებ, შეიყვარებს უკანასკნელს და ამ სიყვარულით ულმობელ ნსაჯულათ მოევლინება ბაბოსა და ლევანის ფარულ სიყვარულს; იგი ამ სიყვარულით სამაგიეროს უხდის ამ ორს ისეც ტანჯულ და წამებულ ადამიანს, რომელნიც დაძმური ნიღაბის ქვეშ 16 წლის წინათ ცოლ-ქმრული კავშირით შეუერთდენ ერთმანეთს. ციცინათელას სიყვარული თავზარს სცემს, სასოწარკვეთილებას გვრის ლევანს; გულს უღრნის მისი გამოხედვა, მისი სიყვარულით სავსე თვალები საშინელ ტანჯვას ამეფებს ლევანის არსებაში. მას ძალა არ შესწევს— უყუროს ღვიძლ შვილს, რომელიც ვნებით მიიწევს მისკენ და მზათ არის გადაეხვიოს საქმროთ არჩეულს და მასთან კავშირით მოზღვავებული ქალური ვნება დააცხროს. ლევანი გაურბის ამ საშინელ მდგომარეობას, გაურბის იმიტომ რომ თავისი ვინაობის გამხელა არ შეუძლია; ასეთი ალსარებით იგი ბოლოს მოუღებდა ბაბოს მამას, თავის მამობილს, რომელიც მას თავის შვილათ, ბაბოს ძმათ იგულებდა და იგულებს ახლაც.

ლევანი გარბის და მეამბოხეთა შორის ბარიკატებზე თავს გასწირავს, კვდება. მაგრამ ეს სიკვდილი იმისა და ბაბოს წასულ ცხოვრებას ფარდის ახთას ვერ ააცთენს. ბაბოს გაყრილი და გარყვნილი ქმარი, შემოიჭრება თავადის სახლში და ყველაფერს უამბობს როგორც მოხუცს, ისე ციცინათელასაც. საბრალო მოხუცი ვერ აიტანს ასეთ საშინელ სინამდვილეს, გული გაუსკდება და კვდება, ჭკუაზე შეშლილი ციცინათელა ასრულებს პიესის საშინელ ტრაგიზმს.

ციცინათელას როლი არ არის რთული, იგი მხოლოდ მესამე მოქმედებაში გამოჩნდება სცენაზე, მაგრამ იგი ძალიან ლამაზი და მოხდენილია.

16 წლის ციცინათელა გულუბრყვილო, ცხოვრებიდან ჯერ კიდევ ხელშეუხებელი ბავშია, რომლის ნორჩ გულს სიყვარულის ნაპერწკალი შეეპარება. გულუბრყვილო ბავშს ფიქრათაც არ მოდის, ბაბოსა და ლევანის დანაშაული, თავის გრძნობის საშინელება და ბავშურის ექსტაზით შეუყვარდება მხატვარი ლევანი. წმინდა ბავშის ნორჩ გონებას ვერ წარმოუდგენია, რომ ადამიანს შეუძლია იცრუოს:—მას გონება შეურყია დედი მისისა და მისი საყვარელი ლევანის დამოკიდებულების საშინელმა სინამდვილემ. მ. მდივანის ასულმა მშვენიერათ გადმოგვცა 16 წლის ციცინათელას შეყვარებული, ბოლოს ულმობელის სინამდვილით დამსხვრეული გულის ტკივილი და სულიერი განცდა.

ნინო ჩხეიძის ასულმა სინამდვილით დაგვიხატა ისეთი ქალის ფსიხოლოგია, ნების ძალა, სულის სიმძლავრე, რომელიც 16 წელიწადს მის საყვარელ არსებასთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს და და-ძმობას არ გადაცთენია, გარდა იმ პირველი შემთხვევისა, რომლის ნაყოფიც ციცინათელა იყო.

ა. იმედაშვილი, როცა გრძნობათ საჭიროა, მხარს უშვენებს ნინო ჩხეიძის ასულს. იგი ჩინებული იყო ლევანის როლში. მხატვარის მაღალი პოეზიით სავსე, მაგრამ სიყვარულით წამებული სული, ფართო, მძლავრი და ამავე დროს გრძნობით შეპყრილი ბუნება, რომელიც ბაბოსთან ერთად თავდაჭერილობის მძიმე უღელს ქვეშ იმყოფება, სინამდვილით, და დაკვირებით გადმოგვცა მსახიობმა. განსაკუთრებით კარგი იყო მესამე მოქმედებაში, სადაც ციცინათელა სიყვარულს უცხადებს და ეს მოულოდნელი მოვლენა ქარიშხალივით, ულმობელათ თავს დაემსხვრევა.

კარგი იყო არადელი-იშხნელი გარყვნილ და უგულო მაქსის როლში, რომელიც თავის კეთილდღეობისათვის, მზათ არის საკუთარი ცოლიც გაყიდოს. ა. არაბიძის ამპლუას მოხუცი მამის დრამატიული როლი არ შეეფერებოდა, მაგრამ პიესის საერთო შთაბეჭდილებას ამით ვნება არ მისცემია. საერთოდ პიესა ბაბოსა, ლევანსა და ციცინათელაზეა აგებული, ესენი კარგები იყვენ და ამიტომ მაყურებელი საზოგადოებაც დამტკბარი გამოვიდა ამ ორი წარმოდგენიდან.

სანთანა

ხმა ვარშავიდან.

ბდგილობრივმა ქართველმა სტუდენტობამ განვიზრახეთ ქართული კულტურული წრის დაარსება. დიდ ვაივაგლახს შემდეგ, როგორც იქნა, ავირჩიეთ გამგეობა და ის იყო, უნდა შევდგომოდით საქმეს, მაგრამ მავნეს შეშურდა ჩვენი შეკავშირება, შეერთება და საქმეც მალე ჩაშალა. გამგეობა ჯერ არც კი შეკრებილიყო და უკვე რამდენიმე განცხადება მოგვაყარეს: ერთში სწერია: „რადგან ამა და ამ პირმა შეურაცხყოფა მომაყენა, „მაშენიკი“ მიწოდა მასთან მუშაობა არ შემიძლია, და სანამ ის წრეში იქნება, მე თავს ვანებებ“...

მეორე სწერს:—„მე ესა და ეს არა საიმედო პირათ მიმაჩნია, არა თუ გამგეობაში, წრეშიც [illegible] ამიტომ სანამ... მე თავს ვანებებ“... მესამე, მეოთხე და ორ დღეს შემდეგ, საქმე მთლად ჩაიშალა.

ეს ხალხი ხვალ-ზეგ უმაღლეს სასწავლებელს ათავებს და ის ვერ შეუგნიათ, რომ საერთო საქმე და პირადი ინტერესები ერთად შეუძლებელია.

შური, მტრობა, ერთიმეორის გაუტანლობა, კერძო ინტერესები, მხოლოდ ჩვენი „მე“ უნდა შეადგენდეს ჩვენს გონებრივსა და ზნეობრივ ავლადიდებას!?

ნეტა, რაა მიზეზი ამ ჩვენი საძაგელი ზნისა, თუ ინგლისის მეცნიერს ბოკლს დავუჯერებთ ადამიანის ხასიათისა და ზნის სხვადასხვაობა თურმე ბუნების სხვადასხვაობაზეა დამყარებული. ნიადაგს, საზდოობას, წყალს, ჰავას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ყველა სხვა ხელოვნურათ შექმნილ პირობებსო.

ვინ იცის, შეიძლება, ცივი სვანეთის შვილი ვერაოდეს ვერ შეეთვისოს აყვავებული ბარის შვილს. ვინ იცის, შეიძლება თოვლით ლესილნი მყინვარი და იალბუზი ისეთივე შურით, მტრობით დაცქერიან რიონისა და არაგვის ატეხილ ჭალებს, როგორც ჩვენ ერთიმეორეს?!.

კიდევ რამდენი ფიქრი მიტრიალებდა თავში, როდესაც ღამის სამ საათზე კრებიდან შინ ვბრუნდებოდი. ვეებერთელა ქალაქში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდნილიყო, სწორსა და ფართო ქუჩებში არავინ ჭაჭანებდა. შვიდ-რვა სართულიანი სახლები ქუჩის აღმა-დაღმა ისე ვიწროთ მიკვროდა ერთიმეორეს, როგორც შეყვარებულნი.

აგერ ცხრასართულიანი სახლი, თითქმის ზეცას მიკვრია... მის გვერდით კი პატარა ორსართულიანი სახლი... დედაშვილივით ჩაკონებიან ერთმანეთს...

აგერ ბაღი... სხვადასხვა ტანის მცენარენი ერთად იზდებიან, იშლებიან, ხარობენ...

ჩვენ კი, ადამიანები!?..

ვხედავ ყოველ ამას და შურით გული მევსება, სული შფოთავს...

ისაკიძე.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ე. ჭელიძე**

ორშაბათიდან, 3 ქრისტეშობისთვიდან ვიდრე 24 დეკემბრამდი

სავაჭრო სახლი

ა. მ. ვართანოვი და ამხ.

ნიშნავს

დიდ საშობაო

იაფ ვაჭრობას.

პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონელი **შემთხვევით ნაყიდი** და პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება **დღეის რიცხვიდან მოკლე ვადით** ქ. ქუთ. ბულვარის პირდაპირ. ძმ. ოცხელების შენობაში ახვლედიანის მაღაზიის მეორე განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონელი: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტუმები 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, საუკეთესო ღირსების და გამოჩენილი ქარხნების აბრეშუმის იუბკები, შალის კაბის ქვედა წელები, რუბაშკები და სარუბაშკეები ნაჭრობით; კალოშები, კაცის, ქალისა და ბავშის, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ღია წერილის ალბომები, ქალის და კაცის ქამრები და საქამრე რეზინები და სხვა მოწყობილება მისი, ყოველნაირი რეზინა წივსაკრავისთვის და აგრეთვე მზა წივსაკრავი ქალთა და ბავშთათვის. სამუსიკო იარაღები სასიამოვნო ნოტებით, კორსეტები და სხვა ამასთანავე მოვახსენებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ახვლედიანის მაღაზიაში არის ახლადვე მიღებული დიდძალი საგალანტერეო საქონელი მზა ტანისამოსები და ფეხსაცმელები კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს კიდევ ვღებულობთ ყოველ დღე.

ფასები ხელმისაწვდომია და უვაჭროთ. პატივისცემით ა. ახვლედიანი.



იულიუს საარე

მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩ. ნავთით განათებისა

და

მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთ. დაბათუმის მაზრისა ამ მშვენიერ სანთლიავ ფარნებისა

იგა ი. ნ.

უფრთხილდით მიმსგავსებას

მისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ტელეფონი № 18

ახლათგახსნილი სამანუფაკტ. მაღაზია

გ. დ. კაჭკაჭოვისა.

(გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის ბაღის პირდაპირ).

საზოგადოების თხოვნით დიდ **იაფვაჭრობას** ვაგძელებ 25 დეკემბრამდი.

სადაც გაიყიდება მაუდების, შალების, აბრეშუმების, ტილოებისა და ბამბეულობის მატერიები, მაგიდის თეთრეულები, ტიულის ფარდები და შეკერილი „რუბაშკები.“ ფასები ქარხნებისაა და მასთან უვაჭროთ. ვიმედოვ, რომ პატივცემული საზოგადოება მიაქცევს ყურადღებას საქონლის სიაფეს და მით ისარგებლებს შემთხვევით

პატივისცემით გ. დ. კაჭკაჭოვი

ალექსანდრე კოსტავას

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში

თფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.

ახლათ მივიღეთ: კოსტუმები, საშემოდგომო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა შეკერილი ტანისამოსი. ყველაფერი ტანისამოსი 25% ნაკლებ იყიდება, რადგანაც სეზონი გადის და ბევრი ჩამოგვრჩა. აგრეთვე ვღებულობ „ზაკაზებს“ ძლიერ ხელმიმცემ ფასათ, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტუმო მატერია კაცებისათვის.

ელექტრო-საბეჭდავი შერაძისა და ქარნაუხოვის, ქუთაისში.